



ბოლო წიგნის მადლი

ექვვარეშა, ჭაბუა ამირეჯიბმა ქართული მწერლობის სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა. მის ნაღვაწთან მკითხველის ყოველი შეხვედრა მნიშვნელოვანი მოვლენაა და მუდამ ცხოველ ინტერესს აღძრავს.

მოთხრობებისა და რომანების გვერდით იგი ავტობიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტურ პროზასაც წერდა. გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე (2010) გამოაქვეყნა ერთი ამდაგვარი კრებული, რომელსაც ჩვეული პირდაპირობით, სენტემენტალობის გარეშე, *ბოლოსწინა* უწოდა. ეს წიგნი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართ. მისნაირი უდრეკი, შეუვალი ბუნების ადამიანებს ბევრი რამ წინასწარ აქვთ გათვალისწინებული და ჭაბუამაც, უკვე ჯანმრთელობაშერყეულმა, სამაგალითო შეუპოვრობა გამოიჩინა – მეტყველება ჯერ კიდევ შეეძლო და არაერთი ეპიზოდი დიქტოფონზე ჩაწერა. სიცოცხლის მიწურულამდე აგრძელებდა მუშაობას თავის ბოლო წიგნზე, რომელიც (ესეც განგების ნება გახლავთ) დღის სინათლეს მისი გარდაცვალების შემდგომ იხილავს. ჩვენ ისდა დაგვრჩენია, მთელი არსებით შევიგრძნოთ და გავითავისოთ ქართული პროზის დიდოსტატის ამ ბოლო წიგნის სიკეთე და მადლი.

ცნობილია, როგორი მომხიბლავი მოთხრობელი იყო, ნანახსა და განცდილს თითქმის გამზადებულ ნოველებად გადმოშლიდა (ეს იშვიათი თვისება თვალნათლივ ჩანს მის მოთხრობებსა და სამივე რომანში). სხვადასხვა დროს ფირზე ჩაწერილი ნაწყვეტებით, რომლის საერთო სათაურად განსვენებულმა *ჩემი ქართლის ცხოვრება* შეარჩია, მისმა უერთგულესმა თანამეცხედრემ, პოეტმა თამარ ჯავახიშვილმა და ოჯახის მეგობარმა, რედაქტორმა რეზო გოგიამ გაშიფრეს, გაამთლიანეს და წიგნის სახე მისცეს.

მონათხრობის სტილი დარბაისლური, ზედმიწევნით ტევადი, ლაპიდარულია. ამირეჯიბთა სახელოვან ნაშეირს სათქმელის მიკიბ-მოკიბვა არ უყვარს. როგორც იტყვიან ხოლმე, ხარსა თუ ვერძს პირდაპირ რქაში ავლებს ხელს და ჩვენც იქით მიგვეზიდება, საითკენაც ამბავს მიდრეკს. წარმოდგენილ ეპიზოდებში ავტორის არაერთ ადრინდელ საქციელს ეძებნება გამართლება, ნათელი ეფინება. მაგალითად, ფსიქოლოგიური თვალთახედვით ზუსტად არის ახსნილ-დასაბუთებული თუ ყმაწვილობაში რატომ ამოისვირინგა მკერდზე ურჩხულის განსაგმირავად შუბშემართული წმინდა გიორგის გამოსახულება.

თოთხმეტი წლიდან ჩეკას მეთვალყურეობაში მყოფი, ოცდასამი წლისა დააპატიმრეს, ექვსჯერ გაიქცა (მთლიანობაში ოთხმოცდასამი წელიწადი ჰქონდა მისჯილი). ამის გამო, ციხიდან ციხეში რომ გადაჰყავდათ, რეჟიმის ადმინისტრაციის გასაფრთხილებლად, რათა ზედამხედველები რაც შეიძლება ფხიზლად ყოფილიყვნენ, პირად საქმეში ჩაუწერეს: „*Беглец. Склонен к бегству*“¹

ქართულ ალმანახში დასაბეჭდად განკუთვნილი თავებიდან² ყველაზე მოზრდილი და შთამბეჭდავია *ჩემი პირველი გაქცევა*, რომელიც სულმოუთქმელად, უმძაფრესი დეტექტივის დარად იკითხება და ისე ცხადად, დრამატულად გადმოგვცემს მოთხრობელის განცდებს, მისი შინაარსის მოყოლა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. მხოლოდ მეტყველ პარალელს მოვიხმობთ იმის წარმოსადგენად, თუ რა ფართო განზოგადების საშუალებას გვაძლევს მწერლის ერთ-ერთი სახიფათო თავგადასავალი.

მარტო აპირებდა გაპარვას, მაგრამ მის იარაღებიან (კლიტეების გასახსნელ „ატმინკებიან“)

¹ „განაქცევი. მიდრეკილია ციხიდან გაქცევისკენ“ (რუს.) (რედ.).

² იხ. „ქართული ალმანახის“ წინამდებარე ტომი, გვ. 70-80.

სამალავს მიაგნო ბანდიტობისთვის მჯდარმა ოთარ კალანდაძემ (ბეხაიამ) და იძულებული შეიქნა, ისიც თან გაეყოლებინა.

ჭაბუას პირველი გაქცევა, ავჭალის საპყრობილიდან რამდენიმე წინასწარ გაანგარიშებულ გათვლას, უცნაურ დამთხვევასა და ყოვლისშემძლე ბედისწერის გამართლებას რომ ემყარება, უნებურად გაგონებთ გენიალური ვენეციელი ავანტიურისტის ჯაკომო კაზანოვას გაპარვას ღოჭთა სასახლის თავზე დაშვებული პიომბის (ანუ ტყვიის სახურავქვეშ მოქცეული) სულისშემზუთველი ციხიდან. მისი დაპატიმრება ინკვიზიციის ულმობელმა ტრიბუნალმა გადაწყვიტა. ვალაღებული, ევროპის არაერთ ქალაქში დრონატარები დაუცხრომელი მექალთანე ციხის აუტანელ პირობებში მოხვდა. კბილებდალეხილი ვირთხებით გარშემორტყმული, რწყილებისგან დაკბენილი, გაუსაძლისი სიცხისგან ენაგადმოგდებული, იგი, ცხადია, პირველივე დღიდან კუბოსავით ვიწრო, დაბალჭერიანი საკნიდან გაღწევასე ოცნებობდა. წამახული რკინით კიდევაც ჩახვრიტა იატაკი, მაგრამ დაასმინეს და მთელი წლის ჭაპანწყვეტა წყალში ჩაეყარა.

ასეთი იმედგაცრუების მერე იმავე ციხის ტუსაღი ბერ-მონაზონი, პატრი ბალბი შეიამხანაგა. თვითონ რადგან შემჩნეული იყო, ბურღი მას მისცა, კედელში ხვრელი გააკეთებინა და ორივეს (უფრო კაზანოვა გაიტანჯა, როგორც მეწინავე) ერთ უთქმელი, წარმოუდგენელი დაძაბვა დასჭირდათ (რამდენჯერმე კინაღამ გადაცვივდნენ და უეჭველ სიკვდილს გადაურჩნენ), ვიდრე თავისუფლების ჰაერს შეისუნთქავდნენ.

ფელინიმ პიომბის ციხიდან კაზანოვას ფანტასტიკური გაქცევა მეტისმეტად გაამარტივა, მეშუარებში დაწვრილებით აღწერილი ჭირ-ვარამი ილუზიონისტურ მოძრაობებსა და საპყრობილის დამრეც სახურავზე გმირის ხტუნვა-ხტუნვით გადარბენამდე დაიყვანა. ეტყობა, სხვა გზა არ ჰქონდა (მოვლენებს რომ მიჰყოლოდა, ამას ფილმის ორი სერიაც არ ეყოფოდა).

კაზანოვას მუდამ ფანატიკურად სწამდა – თუ კაცმა თავში რაიმე განზრახვა ჩაიღო და დღედაღამ მის განხორციელებაზე იფიქრა, ბოლოს უთუოდ მიაღწევს საწადელს. იგი მკითხაობასაც უამრავ დროს უთმობდა; არიოსტოს *შმაგი როლანდი* ასჯერ მაინც ჰქონია წაკითხული და ამ პოემის მეცხრე, საკრალურად მიჩნეულ, სიმღერაში იპოვა მისტიკური ფრაზა – „*ოქტომბრის დამღვესა და ნოემბრის დამღვეს*“. მართლაც, ციხის კედლები დატოვა ოცდათერთმეტ ოქტომბერს, როდესაც პირველი ნოემბერი თენდებოდა. ამის შემდეგ როგორ არ უნდა ერწმუნებინა, რომ ფორტუნამ მოწყალე კალთა გადააფარა.

პირქვე მიწისქვეშა ჯურღმულებს მშვიდობიანად გამცდარი, იგი დანტეს *ჯოჯოხეთის* ოცდამეთოთხმეტე სიმღერის უკანასკნელ სტრიქონს მოიხმობს ყველაზე დრამატული თავის ბოლოში და ეს არ გახლავთ უბრალო სამშენისი, გადატანილი ინფერნალური განსაცდელის მერე, ეს სტრიქონი ზედმიწევნით მიესადაგება ციხიდან გაქცეულის მაშინდელ განწყობას: „*და გამოვედით, რომ გვეხილა კვლავ ვარსკვლავები*“.

ვერგილიუსისა და დანტეს შემაკრთობელი, გიგანტური ფიგურების ფონზე კაზანოვა და მასზე თოკით გამობმული, ატორლიალებული ბერი პაროდიად აღიქმება. ასევე ღიმილისმომგვრელია ისიც, რომ გასაქცევად მომართულ ჭაბუა ამირეჯიბს, ყაჩაღობაზე გასამართლებული „ძველი ბიჭი“, ოთარ კალანდაძე, მეტსახელად ბეხაია, აეკიდება და ორივეს ერთად უწევს დანის პირზე სიარული, ვიდრე *დათა თუთაშნიას* მომავალი ავტორი სამშვიდობოს გააღწევდეს.

შემდგომი პატარა თავი („*გიგო და მამო კარიაულები*“) გვამცნობს ჭაბუა ამირეჯიბის გადასვლას ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც, სამუშაოს დაწყებამდე, იგი უშვილო მოხუც ცოლ-ქმარს შეუფარებია. გიგო მექედე ყოფილა, დუქნის პატრონი. ერთი კაცისგან გაუგია ციხიდან გამოპარული ჭაბუას ვინაობა, ავანჩავანი, მაგრამ არაფერი შეუმჩნევია. სხვა ქართველიც ჰყოლია შეკედლებული, მთავრობას რომ ემალეობდა. მცირე მოგონების დასკვნით ნაწილში ახსნილია უძემკვიდრედ გადაგებული ცოლ-ქმრის საქციელი, რასაც საძირკვლად მხოლოდ თანდაყოლილი სიკეთე, უანგარობა ელო: „*ეს ჩემი მოხუცები რაღაცნაირი სიამაყით მინახავდნენ. არც ვალს მადებდნენ, არც არაფერი. მიფარავდნენ და მეტი არაფერი. ვერაფრით გადავიხადე მათი ვალი. ორივე ორჯონიკიძეშა დაკრძალული. რამდენჯერ მიფიქრია მათ საფლავზე მისვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე. რამდენი გადაუხდელი ვალი რჩება ადამიანს, მაგრამ სამაგიეროდ სხვებს დავხმარებივარ ასევე და ამაზე მეტადაც და იმის იმედი მაქვს, რომ ღმერთი მაპატიებს*“.

ანეკდოტური იერი აქვს, მაგრამ წყალგაუვალი სიმართლეა და ცოცხლად იკითხება გონებადამხვილობით ცნობილი ღირსეული პიროვნების საშა მიქელაძის ამბავი, ვისაც სხვების თანდასწრებით უთქვამს – ბელადი რად მჭირდება, ინდიელი ხომ არ ვარო, და ამის გამო ციხეში ჩაუყუდებით. შიშისგან დაფეთებული გამოძიებლები ხმამაღლა ვერც იმეორებენ საშა მიქელაძის ნათქვამს – ბრალდების მიზეზს და ყოველნაირად ლამობენ, ეს თვითონ პატიმარს ათქმევინონ.

ასევე უცნაურია ჭაბუასთან საპატიმროში მოთავსებული ერთი კაცის ქმედება, რომელიც თავს იგიჟიანებდა და საკუთარ გვარს მალავდა. ციხიდან მოულოდნელი გათავისუფლების წინ ჭაბუასთვის უთქვამს, – თავის მოგიჟიანება პეტრე გრუზინსკიმ მასწავლა, ნამდვილი ძმობა გამიწია, მისგან დიდად ვარ დავალებული და თუ შემთხვევა მოგეცემა, ჩემი მადლობა გადაეციო. პეტრე გრუზინსკიზე მასთან ერთად დაპატიმრებული პოეტი ქალის მარი აბრამიშვილის ცნობაც არსებობს, რომ დედამისი ვიდაცეების მეშვეობით მოსკოვში ლავრენტი ბერიას შეხვედრია და საიდუმლო პოლიციის შეფს ურჩევია, შენმა ვაჟმა სიგიჟე მოიგონოსო. ალბათ. საჭირო გახდება ჭაბუა ამირეჯიბისა და მარი აბრამიშვილის ჩანაწერების შეჯერება, რათა პეტრე გრუზინსკის უდანაშაულობა ამ საქმეში უფრო ნათლად გამოიკვეთოს.

ქართული აღმანახის ეს პუბლიკაცია, ვიმედოვნებთ, სასურველ გამოხმაურებას პოვებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ წიგნს, რომელიც მალე გამოვა, მეტი რეზონანსი ექნება.

ჭაბუა ამირეჯიბის მრავლისმომცველი, უღრმესი შემოქმედება არაერთხელ გამხდარა როგორც ქართველი, ასევე საზღვარგარეთელი კრიტიკოსების მსჯელობისა და შეფასების საგანი. ამის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს დასტურად ჩვენი დიდად განათლებული და თავისებურად მოაზროვნე ლიტერატორის ჟაკლინ სირადის ახალი წიგნი *ეთიკის გაკვეთილი. რჩეული და ვირთავვაჭამა* უნდა დავასახელოთ. ამ ნაშრომის შექმნას მკვლევარმა წლები მოახდომა. იგი ძირფესვიანად იცნობს საამაყო მწერლის სულიერ მემკვიდრეობას და მთელ წიგნს „დათა თუთაშნიას“ განხილვას უძღვნის, თუმცა დანარჩენი ორი რომანიც („*გორა მბორგალი*“ და „*გიორგი ბრწყინვალე*“) ასევე ესსეისტურად აქვს გაანალიზებული. ვფიქრობთ, უყურადღებოდ ჭაბუას ესოდენ მნიშვნელოვან დოკუმენტურ პროზასაც არ დატოვებს.

ქართული მწერლობის დიდი კლასიკოსის სამუშაო ოთახში შესული, წიგნის თაროების გვერდით, უსათუოდ შეამჩნევდა ჯიშინად აწვართულ ბრინჯაოს ქანდაკებას. დონ კიხოტის გარეგნობაში აშკარად შეიმჩნევა თვით ჭაბუა ამირეჯიბის აღნაგობა. ხსენებული ნამუშევრის ავტორია ახლახან გარდაცვლილი ნიჭიერი ფერმწერი და მოქანდაკე როლანდ ნაროშვილი. „კეთილშობილი იდალგოს“ მარჯვენა ხელი, როგორც მლოცველს, ცისკენ აქვს აპყრობილი, ხოლო მარცხენა – მორჩილად ძირს დაშვებული. ასე შეუდრეკლად დგომა და მლოცველის იერი მართლაც რომ შეშვენის ბერ დავითს, ვინაც ათას სატანჯველში გამოტარებული სიცოცხლე და რაინდულად მფეთქავი გული მთლიანად საქართველოს შესწირა.

ბედნიერი ბილეთი

ჭემმარიტი ნიჭის უპირველესი თვისება წლების წინათ განცდილ შთაბეჭდილებათა ცოცხლად შენახვა, უბერებლობაა. ამას ერთხელ კიდევ ცხადყოფს ოთხმოცდახუთი წლის თამაზ ჭილაძის ახალი ლექსები მომავალი წიგნიდან „ბორანი“³

მე მომსწრე ვარ მისი პირველი ლექსების და პირველი წიგნის გამოქვეყნებისა და არ მახსოვს, იმ ურთულეს დროში თავისი მწერლური მრწამსისგან, პოეზიის წმინდა მსახურებისგან, თამაზ ჭილაძეს უკან დაეხიოს, ცდუნებას აპყოლოდეს, კომპრომისული, არასაკადრისი ნაბიჯი გადაედგას. ეს არ იყო მაშინ იოლი.

დიდი სულიერი ძალაა საჭირო, რათა სისხლში გამჯდარმა ადამიანურმა ვნებამ, მრავალი წლის შემდეგ, ოდნავადაც არ დაკარგოს პირველყოფილი სიმძაფრე და სანუკვარ არსებას კვლავ თვალწინ დაუყენო გარდასულ დროთა სურნელით დაბანგული გაუხუნარი სურათი:

გახსოვს უცნაური შემოფრენა ჩიტის,
ჩუმი შეკვივლება, უცაბედი ელდა?
გეცვა სადა კაბა, ყვავილიან ჩითის,
თითქოს საგანგებოდ, მოსაკლავად ჩემდა.

სხვა უსათაურო, ასევე ორსტროფიან ლექსში იმაზეა წუხილი, თუ რა ინატროს პოეტმა „სიცოცხლის ბოლოს“, თუმცა ეს ნატვრა უფრო მარადიული არსებობის წრებრუნვას ჰგავს, ვიდრე ადამიანის აღსასრულს.

მეორე სტროფი ცხადყოფს, რასაც ევედრება იგი ყოვლისშემძლე უზენაესს და წარმოუდგენელია, ეს გულში დაუტყველი, ზესურვილის გამოძნატავი სტრიქონები აუღელეებლად წაიკითხო:

³ იხ. „ქართული აღმანახის“ წინამდებარე ტომი, გვ. 86–88 ; ასევე „ლიტერატურული საქართველოს“ 2016 წლის 4 მარტის ნომერი.

ვიდრე ძგერს გული და შემრჩა გონი,
ვიდრე ბოლომდე გამწირავს ბედი,
ერთს ვთხოვ განგებას, რომ გამაგონოს
აკვანთან ჩუმი სიმღერა დედის.

თუ რამეს მივხვდი, ეს მართლაც „უცნაური და უთქმელი“, ყოველგვარ წრეს გაცდენილი ხილვავა, რის სიტყვიერ გარსში მოქცევასაც პოეტის მთელი მოწამებრივი ცხოვრება დასჭირდა. ეს უნდა იყოს წუთისოფლის ბინდიდან გამომკრთალი მარადიული ნათელი, ღარიბულ იატაკზე დარწმუნული აკვნის მოძრაობას აყოლებული იავნანა – მწუხარებისა და იმედის ღვთიური ნაზავი. იქნებ ამ აუხსნელ მისტერიას დასტრიალებდა გალაკტიონის ფიქრი, როცა მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულმა ჩურჩულით ამოთქვა: „*რისთვის გამზარდა დედამ, რისთვის მეტყოდა ნანას!*“.

მაინც – ხსენებულ ლექსთა შორის უძლიერესია, თავისი სათაყვანებელი ძმისა და მთელი ქართული მწერლობის საამაყო ოთარ ჭილაძისთვის რომ მიუძღვნია. იშვიათზე იშვიათია შემთხვევა – ერთ ჭერქვეშადადებულ და გაზრდილ ორ დიდ შემოქმედს, ორ ძმას ერთმანეთი ასე ჰყვარებოდეთ. ყველაფრის შემძუსვრელმა სიკვდილმაც კი ვერ გათიშა ისინი; ძვრა ვერ უყო გრანიტივით მაგარ ხიდს, მათ რომ აერთებდა და ეს უმტკიცესი ერთობა არც არასოდეს დაირღვევა. პოეტის შეუმცდარი ალლოთია მიგნებული მიუვალ კლდეს ფეხმოუცვლელად დაკიდებული „თხის არვე“ და შორეული „ეუვნის წკრიალი“, კაჟივით რომ ყრის წყვილადის გასაფანტავ ნაპერწკლებს და ამ ხმას დადუმება არ უწერია, იგი ძმებს შორის სამუდამო კავშირს განასახიერებს. სწორედ ამ ურყევ რწმენას ემყარება მთელი ლექსი, რომლის პირველ და ბოლო, მეოთხე სტროფს აქვე ამოვწერ:

თუკი ამქვეყნად ყველაფერი არის ამაო,
რატომ მიჩნდება უცნაური, თუნდაც, იმედი,
რომ ახლა მანდაც მშვიდზე მშვიდი
დგება საღამო.

*

დრო გადაუვლის მოგონებებს, მაგრამ ვერ წაშლის –
ღმერთი გვიზოგავს, ბოლომდე რომ იმედად გვეყოს...
დაგვებ ისევ მარტობის უსაზღვრო ცაში,
ვუსმენ ცარიელ გულის ფეთქვის უცნაურ ექოს...

პოეტი ტკივილის გარეშე არ არსებობს. თამაზ ჭილაძემ კარგად უწყის – შემოქმედებას ადამიანური ტკივილი ანიჭებს სიღრმესა და სიღიადეს. ვიდრე სული გიდგას, ვალდებული ხარ, სხვისი გასაჭირი გაითავისო და რამდენადაც შეძლებ, მოძმეს მძიმე ხვედრი შეუმსუბუქო. ნამდვილი პოეტის გარდა ამას ვერაფერ იტყოდა:

ტკივილისათვის თუკი განგებას
არ ედავები და არც ემღერი,
გაბედნიერებს იმის გაგება,
რომ სხვის მაგივრად ხარ უბედური.

შემოქმედი ადამიანი, პოეტი უმწვავესად განიცდის დროის სრბოლას, ჟამთასვლის მოუხელთებელ, თავბრუდამხვევ დინებას (გიორგი ლეონიძე გავიხსენოთ), რაც ახალგაზრდობასთან, სიჭაბუკესთან განშორებას გვიქადის. ამის შეგრძნება თამაზ ჭილაძეს ძალზე აფორიაქებდა, მაგრამ მასავით ლაღად, ელეგანტურად ცოტა ვინმეს თუ გამოუთქვამს წარმავლობის გაუნელებელი სევდა. იგი მშობელ ბუნებას შესთხოვს დააცადოს სიღამაზით ტკობა, რათა ამქვეყნიურ სასწაულებთან განშორება რაც შეიძლება გვიან მოხდეს. მისი ლექსი არყოფნას გაზაფხულის ნელ ფერებში ხატავს, ფაქიზად მიგვანიშნებს სხვა სამყაროში გადასვლაზე ისე, რომ ოდნავადაც არ იგრძნობა სულეთის მრუბე აჩრდილები, სადღაც ქრება აკლდამის ქვების სიტლანქე და ჰაეროვნების განცდა გვეუფლება. დღემდე ხმიანობს ჩემს წარმოსახვაში ახალგაზრდობის ჟამს დაწერილი მისი მთრთოლარე სტრიქონები:

არაგვის ტალღა, თონის ალმური
და ალავერდის ბნელში შერხევა,
თქვენი ჩონგური და საღამური

ამ სიჩქარეში არ შეიძლება.

ნუ გამიმეტებთ, მიწავ და ცაო,
დიდხანს მამყოფეთ თქვენთან ხიზანი,
სადღაც ბიბინებს ლურჯი ბალახი,
ჩემი სამარის გრილი სიზმარი.

რამდენად უნდა გიყვარდეს სიცოცხლე, მზის ნათელი, უფლის უხილავი ხელით მოქარგული, დასურათხატებული ქვეყნიერება, რომ შენი საბუდამო განსასვენებელი „სამარის გრილ სიზმრად“ ჩათვალო. ყველა ჩვენგანს ახარებს, რომ თამაზ ჭილაძის დაბადების ოთხმოცდახუთი წლისთავი „ქართული ალმანახის“ დაბადებას დაემთხვა და პირველსავე ნომერში იმავე წიგნიდან ამოკრეფილი ახალი ლექსები იბეჭდება. მისნაირ პოეტს სიცოცხლის ბოლომდე გასდევს ყოველივეს შეცნობის, იღუპალებათა წვდომის დაუცხომელი წყურვილი.

ცნობილია – ოთხმოცდაათი წლის ზოკუსაი გამჩენს კიდევ ათ წელიწადს სთხოვდა, რათა სრულყოფილად დაუფლებოდა მხატვრის ოსტატობას.

თამაზ ჭილაძეს რუს პოეტთა შორის (ეს არაერთხელ გამოუხატავს) განსაკუთრებულად უყვარს ორი ალექსანდრე – პუშკინი და ბლოკი. ახალგაზრდობის ჟამს, ფოთოლცვენაში, ნევის განთქმულ პროსპექტზე სეირნობისას იგი მათ ნაკვალევს დაეძებდა და სწორედ მაშინდელია ეს ნიავეით ლალი სტრიქონები: „ნაფეხურები პუშკინის, ბლოკის...“.

ბლოკს აქვს რომანტიკული სულისკვეთების ერთი მშვენიერი უსათაურო („თუ ვახსოვს, ჩვენს მთვლემარე ყურეში...“), სადაც ოთხი ნაცრისფერი გემის ოკეანეში დანთქმასა და გაუჩინარებაზე წუხს პოეტი და სამყაროს უსაზღვროებაზე ესაუბრება გულისსწორს; ლექსის ბოლოს ეუბნება, რომ მათ, ვისაც ბავშვის გული და უბიწოება შერჩათ, გასახარებლად სულ მცირე სიახლე ჰყოფნით – საკმარისია, შემთხვევით, ჯიბის დანაზე, ჯაყვაზე, შორეული ქვეყნების მტკვერი აღმოაჩინო და ირგვლივითი უცნაურად შეიცვლება, ყველაფერს ფერადი ნისლი შებურავს.

უმალ ბლოკის ეს ლექსი გამახსენდა, როცა თამაზ ჭილაძის ახალ ციკლში წავიკითხე ძირითადად მრჩობლად, მიჯრილ რითმაზე გაწყობილი, სულმოუთქმელად გადმოღვრილი მცირე უსათაურო. ესაა ჩეხეთის ულამაზეს დედაქალაქში ახალგაზრდობაშივე ყოფნის უნეტარესი დღეების გახსენება და მონატრება. ქალაქის ძველ ნაწილზე არაფერი რომ არ ითქვას, პრაღას თავის მოსაწონებლად მდინარე ვლტავის მარცხენა ნაპირზე აღმართული დიდებული ციხესიმაგრე (სამეფო რეზიდენცია) და იმპერატორ რუდოლფ მეორის აგებული ლეგენდებით მოსილი ფანტასტიკური სასახლეც ეყოფოდა. წარმოდგენილი ციკლის ყველა ლექსი საყურადღებოა, მაგრამ აქ მხოლოდ იმ ერთს გამოვყოფ (იხ. წინამდებარე გამოცემა, გვ. 87).

„შენი ცის ნამცეცს“ როცა ყველგან გულით დაატარებ, მართლაც, „არ შეიძლება ფრენამ დაგლალოს“. ყველა დამემოწმება – ამ და სხვა ლექსებსაც, დაღლის და მოღუწებისა არაფერი ეტყობა. ალაღად მინდა ვუთხრა ჩემს ძველსა და უფროს მეგობარს: „ზლატა პრაღაში“ ბედნიერი ბილეთი შეგხვედრია, ძმაო თამაზ! ღმერთმა ბედნიერება ნუ მოგიშალოს. ასეთი რელიკვია, შენი ცხოვრების ოქროს წლებს რომ გავონებს, უთუოდ უნდა შეგენახა.

ოთარ ჭილაძეს მინდვრის ყვავილებით გარშემორტყმულ თავის ამაგდარ და საყვარელ დაზე ზღაპრული იერის ერთი ულამაზესი თეთრი ლექსი აქვს, რომელიც ასე მთავრდება: „ის კი უფლისწულს ელოდებოდა და გვირგვინს წნავდა“.

თინიკომ, ჭილაძეთა სახელოვანი გვარის ღირსეულმა ასულმა, არნახული დობა გაუწია ორ, ყველაფრით გამორჩეულ უფროს ძმას და იგი, თავისი ზღვარდაუღებელი სიკეთით, კდემამოსილებით ყველა ნამდვილი ქართველი პოეტის დად და თანამდგომად გვეგულება.

მიზეზთა გამო, არაფერი მითქვამს თამაზ ჭილაძის უაღრესად თავისებურ, წერის დიდი კულტურით აღბეჭდილ ნოვატორულ პროზაზე, ასევე არ შევხებივარ მის მშვენიერ, სხვადასხვა პერიოდში დაწერილ და წარმატებულად დადგმულ პიესებს (სასიამოვნოა, რომ დღეს არსებობს თამაზ ჭილაძის თეატრი); ყველაფრის გარდა, იგი ძალზე განათლებული ლიტერატურათმცოდნეა, მაგრამ აქ ვერც მისი საუცხოო ესეისტიკა მოვიხსენიე. ყველგან, ყველაფერში იგი პოეტად რჩება და ჩემი მისასალმებელი წერილის მიმართულებაც ამან განსაზღვრა.

ყველა მდინარეს, მათ შორის ცხოვრების მდინარესაც, ორი ნაპირი აკრავს – გამოღმა და გაღმა. როგორც ვთქვით, პოეტის ახალ წიგნს „ბორანი“ ერქმევა. ასე მესახება – იგი ორი ნაპირის დასაკავშირებლად არის ჩაფიქრებული. თამაზ ჭილაძის გამოცდილი ხელი აგებს, მტკიცედ კრავს ამ ბორანს. შტორმების, სტიქიის აბობოქრებისა მას არასოდეს შინებია და კარგად იცის, რომელ ნავსაყუდელსაც უნდა მიადგეს.